„ჩინგუტი საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველაო“

ყოლეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2020 წელი • №3-4 (9475-76) • 1-29 თებერვალი • ფასი 1 ლარი

მუნიციპალიტეტის მერიაში

შეხვედრა ერთიანი ელექტრონული სერვისების დანერგვის ფარგლებში

საქართველოს მუნიციპალიტეტებში ერთიანი ელექტრონული სერვისების დანერგვის პროექტის ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან რამაზ კუპრეიშვილთან ერთად, მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს (MSDA) თავმჯდომარეს ვახტანგ ჭედიშვილს, ბიზნეს ანალიტიკოს გვანცა სადილიანს და პროექტის კოორდინატორს თემურ კაკრიაშვილს შეხვდა. სამუშაო შეხვედრის დასრულების შემდეგ, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიასა და მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს (MSDA) შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. პროექტის ფარგლებში, შეიქმნება ელექტრონული მმართველობის ერთიანი სტანდარტი და მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს (MSDA) ერთიანი ელექტრონული პლატფორმა, რომელიც სამ მიმართულებას - ერთიანი ელექტრონული საქმისწარმოების, ელექტრონული განცხადებებისა და გეოსივრცითი მონაცემების მართვის სისტემებს გააერთიანებს. სისტემის შექმნაზე ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს ბიზნეს ანალიტიკოსი გვანცა სადილიანი მუშაობს. პროექტის შედეგად მოქალაქეებისთვის მუნიციპალურ სერვისებზე წვდომა გამარტივდება, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ნაკლებ ბიუროკრატიას, მეტ გამჭვირვალობასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობას.

უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისთვის

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი მოადგილესთან კახაბერ კუპრეიშვილთან ერთად, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ფილიალების განვითარების პროგრამის კოორდინატორს ნინო სამადალაშვილს შეხვდა. შეხვედრას სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები ინგა ქარდავა და ნიკოლოზ შამათავა, მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ნატალია ხუბუა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სენაკის ფილიალის ხელმძღვანელი რომან ავალიანი ესწრებოდნენ. სამუშაო შეხვედრაზე ისაუბრეს წითელი ჯვრის საზოგადოებისა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ერთობლივი პროგრამის „საქმიანობათა ცენტრი სენაკში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისთვის" განხორციელების მიმდინარეობასა და სამომავლო პერსპექტივებზე, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფების უფასო სამედიცინო მომსახურეობას და მათთვის, დახმარების სხვადასხვა სერვისებს მოიცავს. პროგრამის ინიციატორია სენაკის მუნიციპალიტეტის მერია და მხარდაჭერილია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

„დაიწყე და განავითარე შენი ბიზნესი"

ჟიული შარტავას სახელობის მერიის სხდომათა დარბაზში, საგანმანათლებლო პროგრამის - „დაიწყე და განავითარე შენი ბიზნესი" ფარგლებში, საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას, სადაც დამსწრეთ ტრენინგ-კურსის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიეწოდათ, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი რამაზ კუპრეიშვილი, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს სენაკის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის, ადგილობრივი თვითმმართველობის, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და დაინტერესებული პირები დაესწრნენ.

საგანმანათლებლო პროგრამას შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციასთან, სააგენტო „აწარმოე საქართველოსთან", საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსთან, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსთან და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან პარტნიორობით ახორციელებს.

ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" მიმდინარე წელსაც განხორციელდება. სენაკის მუნიციპალიტეტში, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობასთან საერთო კრებები ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეულიდან დაიწყო. სოფლებში, ახალსოფელსა და ისულაში გამართულ საერთო კრებას სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბადრი კალანდარიშვილი, საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე ბადრი ხურცია, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ვახტანგ ფაცაცია, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების უფროსი დალი შონია, მერის წარმომადგენელი ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში რიმა ბოჯგუა, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, ახალსოფლის მცხოვრებლები დაესწრნენ.

„მოხარული ვარ, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება. მოსახლეობა თავად ირჩევს, თუ რომელი პრობლემა მოგვარდეს, რაც, თავის მხრივ, პროექტის აუცილებლობასა და ეფექტურობაზე მიუთითებს. დასაფინანსებელი პროექტების პარალელურად, ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში რეაბილიტირდება სოფლის ბიბლიოთეკა და აშენდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საექიმო ამბოლატორია" - აღნიშნა სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, დასაფინანსებელი პროექტები მოსახლეობასთან კონსულტაციებითა და სოფლის კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებებით შეირჩა. კერძოდ -ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეულის საგადელიოს უბანში განხორციელდება გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები. სოფელ ახალსოფელში შემოიღობება სახნავ-სათესი ნაკვეთების ნაწილი. კეთილმოეწყობა სოფლის ცენტრში მდებარე მგზავრთა მოსაცდელი. სოფელ ისულაში განხორციელდება გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები.

მსგავსი კრება/კონსულტაცია მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში გაიმართება და მოქალაქეებს საშუალება მიეცემათ, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" გათვალისწინებული სამუშაო პროცესის ყველა ეტაპზე, მაქსიმალურად იყვნენ ჩართულნი.

საერთო კრება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის 14-ივე ადმინისტრაციულ ერთეულში განსახორციელებელი პროექტებისთვის 738 000 ლარია გამოყოფილი. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, მოსახლეობასთან საერთო კრება და საჯარო კონსულტაცია გაიმართა. განსახორციელებელი პროექტების შესახებ მიღებულ იქნა რამდენიმე გადაწყვეტილება: „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, სოფელ ბათარიაში, საბავშვო ბაღი სრულად რეაბილიტირდება და აღიჭურვება საბავშვო ატრაქციონებით. სოფელ სახარბედიოში განხორციელდება გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები. მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში გამართულ საერთო კრებას სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბადრი კალანდარიშვილი, საკრებულოს წევრი, ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების" თავმჯდომარის მოადგილე დინარა ხარბედია, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ვახტანგ ფაცაცია, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების უფროსი დალი შონია, მერის წარმომადგენელი მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში გიგლა ელიავა, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, მენჯის მცხოვრებლები დაესწრნენ.

ორ ადმინისტრაციულ ერთეულში დასაფინანსებელი პროექტები უკვე შერჩეულია. მოსახლეობა თავად ირჩევს სოფლის პრიორიტეტებს, რითაც ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად აქტიურად მონაწილეობს სოფლის განვითარების უმნიშვნელოვანეს პროცესებში.

უსასყიდლოდ გადაეცათ

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ და მერის მოადგილემ კახაბერ კუპრეიშვილმა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ექვს პირს გადასაადგილებელი ეტლები უსასყიდლოდ გადასცეს. პროგრამის ფარგლებში, ამ ეტაპზე, გადასაადგილებელი ეტლი მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 70 შშმ პირს უსასყიდლოდ გადაეცა.

ეტლების ტრანსპორტირებას მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს. შშმ პირთათვის ეტლების უსასყიდლოდ გადაცემის პროგრამა, მერიის მხარდაჭერითა და ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის", ამერიკული ჰუმანიტარული დონორი ორგანიზაციის - LDS Charities თანამონაწილეობით, მეხუთე წელია რაც ხორციელდება.

(გაგრძელება გვ 2)

მუნიციპალიტეტის მერიაში

ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში

(დასასრული)

სენაკის მუნიციპალიტეტის 14 ადმინისტრაციული ერთეულიდან, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები, მოსახლეობასთან კონსულტაციებითა და საერთო კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებებით, სამ ადმინისტრაციულ ერთეულში უკვე შერჩეულია. სენაკის მუნიციპალიტეტის ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში გამართულ საერთო კრებას სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ფრაქცია „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე ზაზა ნაჭყებია, საკრებულოს წევრი, ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი, საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ელისო ცაგურია, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ვახტანგ ფაცაცია, ადმინისტრაციული სამსახურის ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების უფროსი დალი შონია, მერის წარმომადგენელი ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში ირაკლი რუსია, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, ზემო ჭალადიდის მცხოვრებლები დაესწრნენ. განსახორციელებელი პროექტების შესახებ მიღებული იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები: ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი, საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ელისო ცაგურია, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ვახტანგ ფაცაცია, ადმინისტრაციული სამსახურის ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების უფროსი დალი შონია, მერის წარმომადგენელი ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში ირაკლი რუსია, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, ზემო ჭალადიდის მცხოვრებლები დაესწრნენ. განსახორციელებელი პროექტების შესახებ მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები: ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ მუხურში დამონტაჟდება გარე განათების სისტემა. კეთილმოეწყობა სოფელ მუხურის ცენტრი. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, დასაფინანსებელი პროექტების განსახორციელებლად, ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულს 32 000 ლარი გამოეყო.

სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე სენაკში

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე დავით ვერავა სენაკის მუნიციპალიტეტის მერს ლევან კუპრეიშვილს, მერის პირველ მოადგილეს გრიგოლ ბაღათურიას და მერის მოადგილეს კახაბერ კუპრეიშვილს შეხვდა. სამუშაო შეხვედრაზე დეტალურად განიხილეს მუნიციპალიტეტში მიმდინარე და განსახორციელებელი სოციალურ-ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული და კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტები. აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს აქტიურად გაგრძელდება ძირეული ძვრები ეკონომიკური გაჯანსაღების, მასშტაბური პროექტების განხორციელების, საგზაო და სპორტული ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმისა და მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ყველა სეგმენტის წინსვლის თვალსაზრისით.

ზანის მოსახლეობა განსახორციელებელ პროექტებს ირჩევს

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები ზანის ადმინისტრაციულ ერთეულში გამართულ საერთო კრებაზე შეირჩა. მოსახლეობის საერთო კრებას, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, საკრებულოს წევრი, ზანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი ზურაბ აფაქიძე, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ვახტანგ ფაცაცია, ადმინისტრაციული სამსახურის ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების უფროსი დალი შონია, მერის წარმომადგენელი ზანის ადმინისტრაციულ ერთეულში დავით საჯაია, შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები და ზანის მაცხოვრებლები დაესწრნენ. განსახორციელებელი პროექტების შესახებ მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები: ზანის საბავშვო ბაღის შენობას საძირკვლის გამაგრებითი სამუშაოები და შიდა კაპიტალური რემონტი ჩაუტარდება.

სოფელ ეწერში - მილხიდის რეაბილიტაცია და გაბიონის მოწყობითი სამუშაოები განხორციელდება. საესებუოს უბანში - საავტომობილო გზაზე, ორ ადგილას, მოეწყობა მილხიდები და არსებულ მილხიდზე სათავისის მოწყობის სამუშაოები განხორციელდება. სოფელ საშურღაიოში - საავტომობილო გზაზე არსებულ ბოძებზე, გარე განათების ქსელი დამონტაჟდება. სოფელ სატყებუჩაოში - 4 ადგილას მილხიდის მოწყობის სამუშაოები განხორციელდება. ერთ მილხიდზე მოეწყობა სათავისები. სოფელ სატყებუჩაოში - საავტომობილო გზაზე, გარე განათების სისტემა დამონტაჟდება. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, დასაფინანსებელი პროექტების განსახორციელებლად, ზანის ადმინისტრაციულ ერთეულს 54 000 ლარი გამოეყო. პროგრამის ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის 14-ვე ადმინისტრაციულ ერთეულში განსახორციელებელი პროექტებისთვის 738 000 ლარია გამოყოფილი.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

საკრებულოს სხდომა

2020 წლის 30 იანვარს გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც უძღვებოდა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბადრი კალანდარიშვილი. საკრებულოს წევრებმა განიხილეს დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული ოთხი საკითხი. 1. „სენაკის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ". მომხსენებელი იყო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების თავმჯდომარე ბადრი ხურცია. 2. „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს N41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". მომხსენებელი იყო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ზურაბ აფაქიძე. 3. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის თანხმობის მიცემის შესახებ. მომხსენებელი იყო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბადრი კალანდარიშვილი. 4. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე სენაკის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ. მომხსენებელი იყო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბადრი კალანდარიშვილი.

ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა

2020 წლის 5 თებერვალს გაიმართა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე თათია ჯინჯოლავა. დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ორი საკითხის განხილვა. 1. სენაკის მუნიციპალიტეტის უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში უსახელო ქუჩის სახელდების თაობაზე. 2. სენაკის მუნიციპალიტეტის ზანის ადმინისტრაციულ ერთეულში უსახელო ქუჩის სახელდების თაობაზე. ორივე საკითხზე მომხსენებელი იყო საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე თათია ჯინჯოლავა.

კომისიების ერთობლივი სხდომა

2020 წლის 13 თებერვალს გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის, სოციალურ საკითხთა კომისიის, სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის, ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის ერთობლივი სხდომა. დღის წესრიგის მიხედვით განხილული იყო ერთი საკითხი. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2019 წლის ანგარიშის მოსმენა. მომხსენებელი იყო სენაკის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დავით ხუხია. სხდომაზე 2019 წლის ანგარიში წარმოადგინა მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსმა გიორგი ბაღათურიამ.

ახალგაზრდული ფორუმი

თბილისის მუნიციპლიტეტის საკრებულოს ინიციატივით, ათეასა და საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების მხარდაჭერითა და ქალაქ ბათუმის მუნიციპლიტეტის მერიისა და სსიპ „ახალგაზდრობის რეგიონული ცენტრის" ორგანიზებით, ბათუმში ორდღიანი ახალგაზრდული ფორუმი - „ადგილობრივი თვითმმართველობა სტუდენტებისთვის" გაიმართა.

ღონისძიებაზე, რომელიც სასტუმროში „ჰილტონი" მოეწყო, ათეა-ს პრეზიდენტთან - კახა კალაძესთან და ასოციაციის ვიცეპრეზიდენტთან - გიორგი ტყემლაძესთან, ასევე ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილესთან - ნათია ღვინაშვილთან ერთად, დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა - გიორგი გახარიამ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ - თორნიკე რიჟვაძემ და განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ - ალექსანდრე დავითაძემ.

გამომსვლელებმა ღონისძიების ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადეს და ფორუმის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. მათი განცხადებით, ანალოგიური ღონისძიებები კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ახალგაზრდების ჩართულობას ქვეყნის განვითარების საქმეში.

ღონისძიება თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ გახსნა. გიორგი ჩაკვეტაძემ ფორუმის ანგარიშის პრეზენტაცია წარმოადგინა და მის მიზნებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

შეხვედრა სამუშაო რეჟიმით გაგრძელდა, სადაც დელეგატებმა და სტუდენტებმა საპროექტო იდეები შეიმუშავეს და პრეზენტაციები მოამზადეს.

ახალგაზრდული ფორუმი, 2018 წლის 12 თებერვალს, თბილისში დაფუძნდა და მუნიციპალიტეტებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერებას, ახალგაზრდებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებასა და ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

ორდღიან ღონისძიებას, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე თათია ჯინჯოლავა ესწრებოდა.

ალექსი დემურია,
საკრებულოს მთავარი სპეციალისტი საინფორმაციო საკითხებში

ბავშვებზე ზრუნვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა

მუნიციპალიტეტის ყველა საბავშვო და ბაგა-ბაღში მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში რეაბილიტირდა და შესაბამისი ინვენტარით აღიჭურვა საბავშვო ბაღების სამზარეულოები და სასაწყობო ოთახები, განახლდა იატაკები, კეთილმოეწყო აღსაზრდელთა საძინებელი ოთახები, რეაბილიტირდა საბავშვო ბაღების სახურავები, ჩატარდა სააღმზრდელო ოთახების სარემონტო სამუშაოები..

გაზეთ „კოლხეთის" რედაქციამ გადაწყვიტა თავისი მკითხველებისათვის მოეთხრო მუნიციპალიტეტის სივრცეში არსებულ საბავშვო ბაგა-ბაღებში მიმდინარე სააღმზრდელო პროცესებზე და ყოფით მდგომარეობაზე. ჩვენ გასული წლის ოქტომბრის თქვეში გაგაცანით ნოსირის საბავშვო ბაღი. ამჯერად თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ ქალაქის № 2 საბავშო ბაღზე, რომელიც მდებარეობს ფოთის ქუჩაზე.

სამი ათეული წელია საბავშვო ბაღს უძღვება პატარებზე უსაზღვროდ შეყვარებული, თავისი საქმის უზადოდ მცოდნე ქალბატონი თინაზი დარასელია. მას სენაკის საზოგადოება იცნობს, როგორც გამოცდილ ხელმძღვანელს, სანდომიანს და კარგი ოჯახის დიასახლისს.

ქალბატონმა თინაზიმ დაამთავრა ცხაკაიას რკინიგზის სკოლა ინტერნატი, შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტში. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო ცხაკაიას ხალიჩების კომბინატის ბაგა-ბაღში აღმზრდელ –მასწავლებლად, 1989 წლიდან არის აღნიშნული ბაღის გამგე. ჰყავს მეუღლე, ქალ-ვაჟი, 6 შვილიშვილი.

ქალბატონი თინაზი გვესაუბრა სკოლამდელი დაწესებულების სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესების დეტალებზე.

ბავშვებზე ზრუნვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. მათი აღზრდა, სულიერი და მორალური სახის ჩამოყალიბება საბავშვო ბაღიდან იწყება. აქ იძენენ ისინი ძირითად ჩვევებს, რომლებიც ცხოვრების წესად ექცევათ და გაყვებათ სიცოცხლის მანძილზე.

მესამე წელია ბაღი განთავსებულია თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ლამაზ, ორსართულიანი შენობაში, ბაღს აქვს ყოველმხრივ დაცული და უსაფრთხო დიდი ეზო, მარადმწვანე ხეებით, ლამაზი ყვავილებით და ბუნებრივი ბალახის საფარით, აღსაზრდელებს შესაძლებლობა აქვთ ითამაშონ და გაერთონ ეკოლოგიურად სუფთა გარემოში.

აღჭურვილია ყველა ასაკობრივი ჯგუფისათვის შესაფერისი და სასწავლო პროცესისათვის საჭირო თანამედროვე ინვენტარით, ეკოლოგიური სერტიფიკატის მქონე სათამაშოებით. სათანადო მოთხოვნებს პასუხობს სამზარეულო და სასაწყობო მეურნეობა. ბაღში არის სამი ჯგუფი: 3-4 წლიანთა, 4-5 წლიანთა და 5-6 წლიანთა.

სკოლამდელი დაწესებულება ის დიდი ოჯახია, სადაც თავს იყრიან სხვადასხვა ზნეჩვეულებების ბავშვები. მათთან მუშაობა არც თუ ისე იოლია. ამ რთულ და მეტად საპასუხისმგებლო საქმეს წარმატებით უძღვებიან ნიჭიერი, უმაღლესი განათლებისა და მაღალი კვალიფიციკაციის მქონე მასწავლებლები: თამარ ჩიტაია, გვანცა დარასელია-დადიანი, მარინე ესებუა-ჩალიგავა, შემცვლელი მასწავლებლები: ელზა წივწივაძე, მანანა გვარამია, მარინე კვარაცხელია. აღმზრდელის თანაშემწეები: ანა ტყეებუჩავა, ნინო ხარაიშვილი, ლუიზა ჯანჯღავა. ისინი ცდილობენ ჩვენთან მოსულ პატარებს შეუქმნან თბილი, კომფორტული გარემო. წარმართავენ და უზრუნველყოფენ ბავშვების სწორად აღზრდას, პასუხს აგებენ თითოეული ბავშვის სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვაზე.

სასწავლო პროგრამა შედგენილია აღსაზრდელების ნიჭისა და ხასიათის თავისებურებების გათვალისწინებით. ნებისმიერი მიმართულების აქტივობა აღსაზრდელის გონივრულ განვითარებას ისახავს მიზნად. მისი დახმარებით პედაგოგებს საშუალება ეძლევათ გამოავლინონ პატარების უნარ- ჩვევები. ბავშვები სწავლობენ ფერების გარჩევას, ხატვას, ძერწვას. რაც მთავარია ერთმანეთთან ურთიერთობას, სათამაშოების გაზიარებას, მეგობრისთვის დახმარების გაწევას.

ხშირად ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები, როგორიცაა საახალწლო ზეიმი, შემოდგომის ზეიმი, პატარებს ძალიან მოსწონთ სპორტული შეჯიბრებები. სამი წელია ჩვენი გუნდი „ვარსკვლავები" წარმატებით მონაწილეობს მუნიციპალიტეტის მერიისა და სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების მიერ ჩატარებულ „მხიარული სტარტებში". წელს მესამედ გავიმარჯვეთ და გარდამავალი თასი გადმოგვეცა მუდმივ მფლობელობაში. ამჟამად აქტიურად ვემზადებით გაზაფხულის დღესასწაულებისთვის.

ბაღში პატარების ჯანმრთელობაზე ზრუნავს ექთანი ნანა კუპრიშვილი-ჭაავა.

ბაღი დროულად მარაგდება ხარისხიანი კვების პროდუქტებით და აღსაზრდელებისათვის არის უსაფრთხო. სამზარეულოში მუშაობს გამოცდილი, კეთილსინდისიერი მზარეული ნატრული ჯოჯუა-ჯიქია. კვება ჯანსაღი და მრავალფეროვანია, ბავშვებს კარგად ბალანსირებული საკვები მიეწოდებათ. დაცულია საკვების უსაფრთხოების პროცედურები, ჰიგიენური ნორმები, რაც მნიშვნელოვანია აღსაზრდელების ჯანმრთელობის დაცვისა და პრევენციისთვის.

ნათია ჩიტაია -აღმზრდელ-მასწავლებელი-პატარებთან მუშაობა შრომატევადი და საპასუხისმგებლოა. თითოეული ჩვენთაგანის მუშაობის ძირითად მიმართულებაა ხელი შევუწყოთ იმ უნარებისა და პიროვნული თვისებების განვითარებას, რომლებიც სკოლამდელ ასაკში უყალიბდებათ პატარებს. ვაჩვევთ მათ ჯგუფურ მეცადინეობებს, რომ ბოლომდე იყვნენ ყურადღებიანი, ამით ნებისყოფას და სკოლაში წასვლისთვის საჭირო სხვა უნარ-ჩვევების გამომუშავებას ვუწყობთ ხელს. ვუნერგავთ მუსიკის, ლიტერატურის, ხელოვნების სიყვარულს. ამავე დროს ვცდილობთ ეს მეცადინეობები არ იყოს მოსაწყენი და პატარ-პატარა დღესასწაულებით გავულამაზოთ ბავშვებს ყოველდღიურობა. პატარებს უყვართ ზეიმები. სიამოვნებით ცეკვავენ, მღერიან, სწავლობენ ლექსებს.

№ 2 საბავშვო ბაღი ის ადგილია, სადაც მაქსიმალურად კეთილმოწყობილი და უსაფრთხო გარემოა აღსაზრდელთა ნორმალური სწავლებისა და დასვენებისათვის.

მ. გერგაია

გამოხმაურება

გაზეთი „კოლხეთი” საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელს აძლევს საშუალებას დააფიქსიროს თავის პოზიცია. ფაქტების სიზუსტეზე, გამოქვეყნებული მოსაზრებების არგუმენტებზე პასუხისმგებელნი არიან თავად ავტორები.

გაზეთ „კოლხეთის" იანვრის ნომერში დაბეჭდილი სტატიის „სენაკის წარსულის მოკლე მიმოხილვა"-პასუხად

დრონი მეფობენ, დრო წარმავალია და მასთან ერთად იცვლებიან თაობებიც. რჩება ისტორია, რომელსაც პიროვნებები ქმნიან. საუკუნეთა მატიანე ქვეყნის მაჯისცემას აღწერს. სამეგრელოს რეგიონიც საინტერესო ისტორიას მოიცავს. გეოგრაფიული მდებარეობითა და სატრანზიტო დანიშნულებით ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო სენაკის რაიონი. ხალხიც შრომისმოყვარე და სტუმართმოყვარე იყო. ოდითგან თავისი სოფლებითა და ქალაქის ინტერიერით. იყო სამრეწველო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ქარხნებით აღჭურვილი, ბალნოლოგიური კურორტის წყალობით ტურიზმისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების ქალაქი. რაც შეეხება მის სახელწოდებას, მან მრავალჯერ განიცადა ცვლილება. 1867-1935 წლებში სენაკის რაიონს ერქვა ახალი სენაკი, 1935 წლიდან – საქ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ფ. მახარაძის გადაწყვეტილებით ქ. სენაკს ეწოდა მიხა ცხაკაიას სახელი და მოიხსენიებოდა როგორც ცხაკაიას რაიონი და ქ. ცხაკაია. 1989 წელს კი ეროვნული მოძრაობის თაოსნობით, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერმა სენაკელმა სოსო გეგელიამ აიღო ინიციატივა ქალაქისთვის დაებრუნებინა ძველი და ღირსეული სახელი-სენაკი, რადგან მათთვის მიუღებელი იყო ლენინის იდეოლოგია და მიხა ცხაკაიას ღვაწლი. ამ მოტივაციით გაჩაღდა აქტიური სამოქალაქო მოძრაობები. ქალაქს ჩამოაშორეს ცენტრში აღმართული ლენინის ძეგლი, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოებისაგან მოთხოვნილი იქნა 1935 წლის გადაწყვეტილების ხელყოფა, რათა ქალაქისთვის დაებრუნებინათ ადრინდელი სახელი – სენაკი. იმჟამინდელი რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ-ნ დგებუაძემ გაითვალისწინა ეროვნული მოძრაობისა და მოსახლეობის ინტერესები და ხელმოწერათა საფუძველზე მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

1989 წლის 12 მაისს რაიონს დაუბრუნდა სახელი – სენაკი. ეროვნულ მოძრაობაში თავგამოდებული ღვაწლისა და პოლიტიკურ ნებათა დაუმორჩილებლობის ფონზე მებრძოლი გმირი სოსო გეგელია შეკვეთილი ინსცენირებით მოკლულ იქნა რუსი ჯარისკაცების მიერ 1992 წლის 19 თებერვალს, რაც ტრაგედიიდან გვაშორებს 28 წლით. ომის წლები რომ არა, ვინ იცის რამდენ უმსგავსობასთან მოუწევდა მას ბრძოლები დღესაც ქვეყნის ტერიტორიების დასაცავად.

ნანი გეგელია
აპოლონ გარუჩავა

კვალიფიციურ მომსახურებას გთავაზობთ



2004 წელს მთავრობის გადაწყვეტილებით ჩვენს მუნიციპალიტეტში გაუქმდა ტექნიკური აღრიცხვის ბიუროები და იგი შეუერთდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

ყოფილმა ტექნიკური აღრიცხვის თანაშრომლებმა დააფუძნეს შპს „ტექნიკოსი“, სადაც თავდაპირველად მუშაობდა 8 თანამშრომელი, მათ შორის 5 დამფუძნებელი. მათი საქმიანობის სფეროა საკადასტრო აზომვითი და შიდა აზომვითი ნახაზების შედგენა.

შპს „ტექნიკოსს” დაფუძნებიდან 2011 წლამდე ხელმძღვანელობდა ფრიდონი აიანადი. ასევე მუშაობდნენ აწ გარდაცვლილი ქალბატონები ვენერა ჯახუა-კუპრეიშვილი და ციალა გეგელიაქაჩიბაია.

დღეის მდგომარეობით მუშაობს 5 მაღალი კვალიფიკაციის მქონე თამაშრომელი. ხელმძღვანელი — მაია ჩიქობავა, სპეციალისტები: -- ბორისი ქირია, ია სიჭინავა, ნაირა ოდიშარია და მადონა ყურაშვილი.

მოსახლეობას შეუძლია მიმართოს პროფესიული ასპექტით წარმოჩენილ შპს „ტექნიკოსის” სპეციალისტებს, რომლებიც კვალიფიციურ სერვისს განახორციელებენ მათი სურვილისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

შ.პ.ს. „ტექნიკოსი“ განთავსებულია ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №2

მოამზადა მ. შამათავამ

მკითხველთა საანგარიშო კონფერენცია

2020 წლის 17 თებერვალს სოფელ II ნოსირის ბიბლიოთეკაში ჩატარდა მკითხველთა საანგარიშო კონფერენცია. კონფერენციას ესწრებოდა სენაკის საკრებულოს დეპუტატი ბატონი ბესიკ ნარმანია, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორი ბატონი ლევან უჩანეიშვილი და მოადგილე ქალბატონი ნათია ეჯიბია, მთავარი სპეციალისტი სოფიკო გვარამია, ძველი სენაკის თემის რწმუნებული ბატონი ალექსანდრე ჯანჯღავა, II ნოსირის სკოლის პედაგოგები, ქალბატონები მადონა მელქაძე, ეკა ნინიაშვილი, ქეთევან წულაია, რიტა ფლორესკუ, ბიბლიოთეკის აქტივისტები:ია სახოკია, ნუნუ მილორავა, ლეილა კილასონია, გულნაზ კირცხალია. ასევე მოსწავლე –ახალგაზრდობა.

კონფერენცია გახსნა ბიბლიოთეკის გამგემ ნელი ჯანჯღავამ, ისაუბრა გასული წლის მუშაობის შესახებ. მადლიერებით მოიხსენია მუნიციპალიტეტის და სოფლის ხელმძღვანელობა მათ მიერ ბიბლიოთეკისადმი გაწეული ყურადღებისათვის.

ბიბლიოთეკის მხარდამჭერთა საბჭოს თავმჯდომარემ ქალბატონმა მადონა მელქაძემ ვრცლად ისაუბრა ბიბლიოთეკის მუშაობაზე, წიგნის როლზე ახალგაზრდა თაობის ფორმირების და აღზრდის საქმეში, სკოლაში მიღებული ცოდნის გაღრმავებაში ბიბლიოთეკის როლზე.

ასევე თავიანთი აზრი და მადლობა გამოთქვეს სოფლის მცხოვრებლებმა: ია სახოკიამ, გულნაზ კირცხალიამ, ლეილა კილასონიამ, ნუნუ და მარინა მილორავებმა.

კონფერენციაზე ბიბლიოთეკის მხარდამჭერთა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ქალბატონი მადონა მელქაძე. რომელიც გულსხმიერად უკავშირებს საბიბლიოთეკო და სასკოლო საქმიანობას ერთმანეთს. ატარებს გასვლით გაკვეთილებს ბიბლიოთეკაში, ბავშვებს აყვარებს წიგნს და მშობლებიც კმაყოფილები არიან

მეორე ნოსირის სკოლის ნიჭიერმა მოსწავლეებმა ლიზი სახოკიამ, ნიკოლოზ ბოჯგუამ, ნინი და დიანა მილორავებმა, ქეთევან ბარკალაიამ წაიკითხეს ლექსები.

ნელი ჯანჯღავამ გამოთქვა იმედი, რომ მიმდინარე წელს მოსახლეობის, მოსწავლე-ახალგაზრდობის და ბიბლიოთეკის აქტივისტების თანადგომით უფრო ეფექტურს და შინაარსიანს გახდის ბიბლიოთეკის მუშაობას.

ქეთო წულაია

ვულოცავთ!

პატარა **გაბრიელ წოწონავას** აქვს თავისი სამყარო, ლამაზი ხილვები, ფერადი სიზმრები... იზრდება წამიდან წამში, იცვლება, ტირის, უხარია, იცინის.

მაკა ზაქრაძეს და ირაკლი წოწონავას ვულოცავთ ვაჟიშვილის შეძენას, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებულ დღეებს.

სიხარულად და სიყვარულად მოვლენილო პატარა ანგელოზო, სახელოვან ვაჟკაცად გაეზარდე მამულს, დაგლოცოს უფალმა.

* * *

გაბრიელ შონიას 2 წელი შეუსრულდა. გაბრიელს ძალიან უყვარს ბაღი, თანატოლები. ქართულ-რუსულ ბაღში „ზღაპრულ კოშკში“ ბევრ სიახლეს იძენს.

გაბრიელი ცელქი და ხალისიანია. უყურებს მულტფილმებს, მოსწონს კუბურებით თამაში. ბავშვი იზრდება ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულის მაგალითით.

გაბრიელ შონიას ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ბედნიერ ბავშვობას, ლამაზი ოცნებების ახდენას.

ღმერთმა ნუ მოუშალოს პატარა ქართველს ცა მშვიდი და მზიანი.

გაზეთ „კოლხეთის" რედაქცია

ძვირფასო დედებო!

გილოცავთ დედის დღეს სამ მარტს. დაესწარით მრავალს. იყავით მხნედ და ჯანმრთელად. შვილები რა ასაკშიც არ უნდა იყონ დედის თანადგომა, მხარდაჭერა, მოფერება და რჩევა –დარიგება ყოველთვის სჭირდებათ. არ მოშლოდეს თქვენი იმედი თქვენს შვილებს მრავალჟამიერ!

შვილებო!

არ წაგცდენოდეთ ერთმანეთზე სიტყვა უშვერი,
დედის გინებას ბოდიში და მონანიება ვეღარ უშველის,
მუდამ გახსოვდეთ რაც დედაზე ბრძენთაგან თქმულა
„შვილებზე დარდით თმები ერთ ღამეში გათეთრებულა”
გაუფრთხილდით დედის სათუთ გულს
ნურავის ათქმევინებთ დედაზე ცუდს.

ხახუტი პერტაია-ყიფიანი

წიგნი-საზრდო გონებისა

წიგნი იყო და იქნება ადამიანის სულის საგზალი, უხვი საზრდო გონებისა. „წიგნი ის მეგობარია, რომელიც არასოდეს გიღალატებს“, „სახლი, რომელშიც არა აქვთ წიგნი, იმ სხეულსა ჰგავს, რომელსაც სული აკლია“ -წერდნენ ცნობილი ადამიანები.

5 თებერვალს სენაკის საჯარო ბიბლიოთეკაში მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით აღინიშნა წიგნის კითხვის დღე.

ღონისძიებას უძღვებოდა ბიბლიოთეკის სპეციალისტი ლუიზა კემულარია.

საჯარო და საბავშვო ბიბლიოთეკების აქტიურმა მკითხველებმა: გვანცა პარკაიამ, მარი ქადარიამ, სალომე საჯაიამ, ცოტნე ეჯიბიამ, გვანცა ფირცხელავამ, ლიზი ხარებავამ, მარიკა სუნგულიამ, გურანდა ხუნჯუამ, მარი ქუთელიამ, თამუნა ფინთურიამ, მარი კვარაცხელიამ, ვერიკო კარანაიამ, ლაშა ხორავამ, გიორგი სიჭინავამ წაიკითხეს ლექსები და ამონარიდები სხვადასხვა ნაწარმოებებიდან.

წიგნის მნიშვნელობაზე ისაუბრეს უფროსი თაობის მკითხველებმა დამირ კუჭავამ, ინეზა ღვინჯილიამ, ნელი ჯანჯღავამ, მედეა ბაღათურიამ, ინდიკო ჩხვირკიამ.

მომავალ თაობებში წიგნის პოპულარიზაციის აუცილებლობაზე მიუთითეს თავიანთ გამოსვლებში მერიის განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსმა გივი მისაბიშვილმა, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორმა ლევან უჩანეიშვილმა.

ღონისძიებას კულტურის სამსახურის მოსწავლე-ახალგაზრდობის და კულტურის ცენტრის სპეციალისტები, ადგილობრივი მედიისა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

წიგნის საჯაროდ კითხვის დღე მსოფლიოში ცნობილი ღონისძიებაა და მას ყოველწლიურად 100-ზე მეტ ქვეყანაში აღნიშნავენ. საქართველოში ეს დღე წელს მეხუთედ ჩატარდა. ღონისძიებაში მონაწილეთა რაოდენობა კი 31 მილიონამდე აღწევს. წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღის თარიღი საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის პარტნიორმა ორგანიზაცია „Litworid“- მა გამოაცხადა. წიგნის კითხვის დღე წიგნთან დაკავშირებულ პროცესებს უფრო მრავალფეროვანს და საინტერესოს გახდის.

მარიკა მიქაბერიძე

მინიატურული წიგნების გამოფენა

წიგნი ერთი თაობის, მეორე თაობისთვის დატოვებული სულიერი ანდერძია. ბრძენი მოხუცის რჩევაა ჭაბუკისადმი. წიგნის ფორმა ესთეტიკურ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია. მინიატურული წიგნის შექმნა ანტიკურ ეპოქაში იწყება. მრავალ მკვლევარის აზრით პირველი მინიატურული ეგზემპლიარად ითვლება ლურსმული დამწერლობის ძეგლები- თიხის მინიატურულ ფირფიტები, რომელიც ქალაქ ურშია აღმოჩენილი. მათი სისქე 10 მილიმეტრია, ხოლო ზომა -41ხ 39 მილ-რი. აღნიშნულია მათი დამზადების თარიღიც- 2325 წელი ჩვენს ერამდე.

რაც შეეხება ჩვენს ეპოქას მცირე ზომის მინიატურულ წიგნი 1981 წელს იაპონიაში გამოიცა. იგი მსოფლიოში ყველაზე პატარა ზომისაა 3,5 მილრი. 11 თებერვალს ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოეწყო გამოფენა, რომელიც მოიცავდა თითქმის ასამდე მცირე ზომის წიგნებს, რომელიც მუზეუმს მოაწოდა ცენტრალურმა და საბავშვო ბიბლიოთეკებმა. მოქალაქეებმა: თეა ხუნჯუამ, ნანა ფირცხალავამ, ინეზა ღვინჯილიამ, მაია ლაშქარავამ, მედეა ჩარჩხალიამ, მაია განგიამ, ლალი გულუამ, გული კირცხალიამ, ვაკონა აფხაზავამ, კობა ბოხუამ და სხვებმა.

საბავშვო, რელიგიური და კლასიკურ ნაწარმოებებთან ერთად გამოფენილ იყო ლექსიკონები. ყველაზე ძველი - 1951 წელს გამოცემული. (აკაკის ნაკვესები). საღამოს უძღვებოდა მუზეუმის სპეციალისტი დ. კუჭავა. მინიატურული წიგნების ისტორიაზე ისაუბრეს მუზეუმის მეცნიერ მუშაკმა ლ. გულუამ. მუზეუმის სპეციალისტმა ბ. დავითაიამ, ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ი. ნიჩაევამ. პოეტმა გ. კირცხალიამ. ჟ.შარტავას მუზეუმის სპეციალისტმა. მ. აბრამიამ. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარემ ნ. ალანიამ. მოსწავლე - ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორმა ლ. უჩანეიშვილმა, სენაკის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსმა გ. მისაბიშვილმა.

ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ წიგნი შეგვიმსუბუქებს ცხოვრებას, გვეხმარება გავერკვეთ რთულ აზრებში, გრძნობებში, მოვლენებში. ის გვასწავლის ადამიანებისა და საკუთარი თავის პატივისცემას, ის ფრთებს ასხამს გონებასა და ჩვენს შესაძლებლობებს.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე თათია ჯინჯოლავა და კულტურის ცენტრის წარმომადგენლები.

ბორის დავითაია

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტი

სპორტი

ჭადრაკი

2020 წლის 25-26 იანვარს თბილისში ჩატარდა საქართველოს სასკოლო ჩემპიონატი ჭადრაკში. ჩემპიონატში მონაწილეობდა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის 234-მდე მოჭადრაკე.

ჩემპიონატი გაიმართა 8 ტურნირად 7-9-11-13 წლამდე ასაკობრივ კატეგორიებში, რომელშიც ერთ-ერთ ადგილზე ასევე ჭაბუკებს შორის.

აღნიშნულ ჩემპიონატში მონაწილეობდნენ სენაკის სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლის მოსწავლეები. 11-წლამდე ასაკის ჭაბუკებს შორის 2- 4 ადგილი გაიყო სენაკის სასპორტო სკოლის მოსწავლემ გიორგი ჭანტურიამ. მას დამატებითი მაჩვენებელით მე-4 ადგილი ერგო.

პარალელურად 25-26 იანვარს თბილისში ჩატარდა საკვალიფიკაციო ტურნირი მე-5 თანრიგის ნორმატივებზე, რომელიც შეასრულა სასპორტო სკოლის მოსწავლემ ზურაბ მალანიამ და დაიკავა I ადგილი.

აღსანიშნავია, რომ ტურნირში მონაწილეობა მიიღო 4 წლის რომა მალანიამ და აიღო მე-5 თანრიგის პირველი ბალი. რომა ძმასთან, ზურაბ მალანიასთან ერთად დადის სენაკის სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლაში, წარმატებით ეუფლება ჭადრაკს და არის მომავალი ჩემპიონი. მწვრთნელ - მასწავლებელი:ზურაბ ლიფონავა.

ამავე ტურნირში თამარ გეგიამ შეასრულა მე-5 თანრიგის ნორმატივი. მწვრთნელ - მასწავლებელი: მერაბ ჯღამაძე.

ვულოცავთ მწვრთნელებს და მათ მოსწავლეებს და ვუსურვებთ წარმატებებს შემდგომ ასპარეზობებზე.

* * *

2020 წლის 6-9 თებერვალს ქ. ფოთში ჩატარდა, სამეგრელო ზემო სვანეთის ჩემპიონატი ჭადრაკში 8-12-16 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის. ჩემპიონატში სულ მონაწილეობდა 70 მოჭადრაკე: ზუგდიდი, ფოთი, სენაკი, ხობი და ჩხოროწყუდან.

აღნიშნულ ჩემპიონატში მონაწილეობას ღებულობდნენ სენაკის სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლის მოჭადრაკეები.

12-წლამდე ჭაბუკთა შორის I ადგილი დაიკავა გიორგი ჭანტურიამ. დაჯილდოვდა თასით, მედლით და სიგელით.

8 - წლამდე ჭაბუკთა შორის საქართველოს ჩემპიონატის ლიცენზია მოიპოვა 6-წლის ზურაბ მალანიამ. მწვრთნელ-მასწავლებელი :ზურაბ ლიფონავა.

8 -წლამდე გოგონათა შორის III ადგილი დაიკავა თამარ გეგიამ, დაჯილდოვდა მედლით და სიგელით. მწვრთნელ-მასწავლებელი :მერაბ ჯღამაძე.

ვულოცავთ მწვრთნელებს და მათ მოსწავლეებს გამარჯვებას და ვუსურვებთ წარმატებებს.

ძიუდო

2020 წლის 5 თებერვალს თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ძიუდოში 2003-2005 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ, სენაკის სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლის ძიუდოისტები. მარიამ ტორჩინავამ - 57 კგ. (მწვრთნელ-მასწავლებელი ელგუჯა გვასალია) და მარიკა სოლომონიმა -63კგ. (მწვრთნელ-მასწავლებელი გელა ხარბედია, უჩა ჯღარკავა) წარმატებით იასპარეზეს და დაიკავეს მესამე ადგილი.

ვულოცავთ მწვრთნელებს და მათ მოსწავლეებს გამარჯვებას და ვუსურვებთ წარმატებებს.

ხელბურთი

სენაკის სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლის მოსწავლე ალექსანდრე ჯეჯელავა 2020 წლის 7-11 თებერვალს მონაწილეობდა თბილისში საქართველოს ახალგაზრდულ ეროვნულ ჩემპიონატში ხელბურთში 2004-05 წლებში დაბადებულ ვაჟთა შორის. ის მოწონებულ იქნა საქართველოს ხელბურთის ფედერაციის მიერ და აყვანილ იქნა საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებში (2004-05) წლიანებში ვაჟებს შორის. მწვრთნელ-მასწავლებელი აბესალომ იოსელიანი.

ვულოცავთ მწვრთნელს და მის მოსწავლეს და ვუსურვებთ წარმატებებს მაღალი რეიტინგის მქონე სპორტულ ტურნირებსა და ჩემპიონატებში.

ირინე გაგუა,

სენაკის სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი



რეზო ადამია

მზე - ენერგიაა „ვეფხისტყაოსანი“

ადამის მოდგმამ ერთ დროს მზეს და მთავრესაც უდიდესი ცოდვით სავსე შეურაცხყოფა მიაყენა, როდესაც მსხვერპლად ახალშობილ ბავშვებს სწირავდა. მილიონობით წლის შემდგომაც უფრო სამარცხვინოდ მოიხსენიებენ ეშმაკეულ წინაპართა ნებისმიერ ველურობაზე უარეს ქმედებებს (აქ ხსენებაც კი არ გვინდა სატანისტური ომების მომწყობთა).

დიდება-უკიდეგანობას კოსმოსისა და უფლის სამართალ-უძლეველობას, უკვე ხალხში თავისუფლად აზროვნებს „ვეფხისტყაოსანი“. ადამიანის თვითმყოფადი ნიჭის უმაღლესი საფეხური, გენიაა, რომელიც პლანეტათა დაუდგრომელი სხივთ ენერგიაა მოუსვენარი, ურთულესი მოქმედებით, უზარმაზარი შემოქმედია და პირისპირ შინაგანად ანგრევს ნებისმიერ ავტორ-პიროვნებას, რის შედეგად უჩნდება სულიერი ავადმყოფობები ანუ მთავრდება გაუთვალისწინებელი ტრაგიკული მოვლენებით.

„ვეფხისტყაოსანში“ უფრო ვარსკვალვური კვეთაა, რომელიც მკითხველზე კეთილთვისებრივი დამატყვევებლობით მოქმედებს, რადგან წარმოუდგენელი გაერთიანებაა მაგიურამდე დასული მისტიკის, სამყაროს სიშორის ძალებით. ადამიანზე ამაზე უფრო დიდი და მძაფრი ქმედება ალბათ მხოლოდ სიკვდილს თუ გააჩნია, რომლის მთლიანობის გაშიფრვა თავად გენიოსებსაც გაუჭირდათ და უჭირთ, იდუმალებამატარებელმა მოგვებმაც ვერ შეძლეს ათასწლეულებში და ოდითგანვე ღმერთებსაც აფიქრებდათ და აღელვებდათ მისი უკეთური ტანჯვის მომგვრელი გონმიუწვდომლობა.

არსებობს თურმე უსასრულობის წარმოუდგენელი სიკვდილის რაობათა სხვადასხვაობანი, მაშინ განუზომელი სიშორით მოქმედებს უთუოდ კოსმოსურ შესაძლებლობათა დაუძლეველობის სიკვდილიც. რისი საპირისპირო ზეწოლით მოქმედებები ირგვლივ სიახლოვესაც არ არსებობს. აზრობრივი გულისყურით, მთვალოგონებით, სიღრმეებით თუ ჩავიხედავთ, შოთა რუსთაველის ქმნილების ფილოსოფიურ ურთულეს ჩანაფიქრამდე, მართლაც პოემის ქვედა გამდინარების უხილავ შრეებში, აზრთა გამაოგნებელ მოულოდნელობებს ამოვიკითხავთ, წარმოიდგინეთ, საშინელებათაგან დაუსაბამობის სიკვდილსაც. ამდაგვარი ვარსკვალავეთური თვითმყოფადი დასკვნის წინაშე გრძნეული შემოქმედი თავისი გენიის წინაშეც გაკვირვებულია.

ჭეშმარიტება-სიმართლესაც კლავსო, სიკვდილი.

მერმე გულდათუთქულთ, ქვეყნიური ყოველთა სიკვდილაღდგენითობა და უმძიმეს მოვლენათა გარდამავლობა როგორც გაგვახსენდება შედარებით მშვიდდებით, რადგან დიდ მგოსანს ხომ ღმერთის და სიკვდილის სიღრმეებით ეაზრებ-ნათლად განეხილებოდა ყოველივე მთავარი. ბოლოს ისევ უმთავრეს: ნაწარმოების ბაჯაღლო ოქროს ზედაპირის ქვედა დინების სიღრმეებიდან მნათედ ამოიკრიფება ოკეანისეულ მარგალიტებად ზეადამიანურ-ღვთიური სიბრძნე: ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. ყველაფერი და ყოველივე თუ არა, უმეტესობა შემთხვევა მოვლენებისა, ურთიერთთან მიახლოებით შედარებითია ამქვეყნიურ ირგვლივობაში და ჩვენც თვითნებურად კეთილვგონიერდებით ...

სიკეთე, უფლისმიერი, მხოლოდ ქმნადობა კი არაა, არამედ უდიდესი ბრძოლაა წმიდანური დაუმორჩილებლობის მშვენიერებით...

მუდამჟამს ჰყავდა საქვეყნოდ გამორჩეულ უპირველეს ქმნილებას ერთგული პატრონ-შემსწავლელი მეცნიერები, დამსახურებული ილუსტრატორ-მხატვრები, უნიჭიერესი კომპოზიტორები, მაგრამ ბოლომდე ვერავინ ჩასწვდება და ვერც განსჯიან ვერასოდეს მის უხილავ გალერეათა მარად უკვდავ სახეებს, რადგან ზეციურ მიუწვდომელ-განუხილველი მხატვრულ-გემოვნებითი სიმდიდრე, თითქოსდა ვარსკვლავთა კოსმოსური კეთილხმოვანი სიმების მელოდიურ რხევათა და ზეადამიანურ აზრთა მოსვლა სასწაულებრივადაა ასახული, სრული კოსმოსურ სხეულთა ჰარმონიულ-რიტმული, რომელიც სულში ჩამყოლი მუსიკალური სრულყოფილებაა. „ვეფხისტყაოსანს“ აღფრთოვენებითა და გატაცებით რომ კითხულობ, გაოგნებულს წარმოგიდგენია, რომ მრავალფერადი ვარსკვლავებით შემკულ მოზაიკურ უმშვენიერეს ცას შეჰყურებ, ივსები პლანეტათა შეუდარებელი ენერგია-მადლით და მიუწვდომელი, ბნელ-ნათელი ქვეყნიერება გულღიად გვმოძღვრავს. უფლისმიერი პოეზიის ენით მოაზროვნე პიროვნება შენდა უნებურად იძირები მოულოდნელ შემოქმედებით უმდიდრეს უსასრულობაში.

უსათუოდ კოსმოსმცოდნე, სამუდამოდ მიძინებულ ატლანტიდელებსაც აღაფრთოვენბდა მზენათელი პოემა „ვეფხისტყაოსანი“, მართლაც რომ ღვთიურ-კოსმოსური დაუდგრომელი ლექსსი შმაგელა პოემა „ვეფხისტყაოსანი“.

ზოგჯერ ღრმად აღტყინებულ მეოცნებეს მიფიქრია, მიქელანჯელოს Lლეონარდო და ვინჩს და რაფაელსაც ხომ არ გაუჭირდებოდათ მხატვრული სრულყოფილებით „ვეფხისტყაოსნის“ დასათაურება? ან ხელოვნების ტიტანნი თუ დაასრულებდნენ ჩვენს უზომო სურვილ-წადილს?

მხატვრულ-შემსრულებლობით სრულყოფილ იტალიურ რენესანსთან მიახლოებულმა დიდმა მხატვარმა სერგო ქობულაძემ საამოდ დაგვატყვევა, რადგან თითქმის ნათლად შეგვახედა რუსთველის შედევრ პოემაში, სრული ბატალური ფართო მოქმედებების, კლასიკური პასაჟების, უმშვენიერესი სახეების, გმირების ხასიათების, ათასწლოვანი ქართული ხავერდოვანი მზით გამთბარი სულის, ეპოქისათვის დამახასიათებელ პეიზაჟებსა და მრავალფარდოვან ექსპონანტთა მიუწვდომელ გალერეაში სულისმიერი მოგზაურობით და სხვა მხატვრებთან შედარებით უკამრისობის გრძნობისგან შეგვასვენა, მერმე გონებრივად მდუმარედ ისევ შევყოვნდით, ღვთიური ქმნილების უსაზღვროდ წვდომის და სულიერი სწრაფვის წყურვილისაგან და უმდიდრეს ფონდებს მორიდებით განვერიდენით, რადგანაც კოსმოსთან ჰარმონიულ-რიტმული შემოქმედებითი განუყრელობა და უზარმაზარი ზემიწიერი მიუწვდომლობაა „ვეფხისტყაოსანი“ და ესაა თანამოაზრევ ნაწარმოების უკიდეგანო გარემოსეული სიცოცხლის განუყრელი უმთავრესი მრავალ ფორმა-განწყობილებიანი სახე. სრულიად მიუკვლეველი უნატიფესი ნიუანსებით ყოველთ სულიერ მფარველ და მიწად ჩამობრძანებული სიბრძნისეულ-მხავრულ-რიტმული ენერგიის კოსმოსი; დიდება შენდა, მრავალღმერთიანო სამყაროვ და მარადიულო საშოვ...

„ვეფხისტყაოსნით“ ამაღლებულ თავდადებულთ გვწამს მხოლოდ მისი ბრწყინვალე უდიდებულესობა „ქმნილება მრავალმხრივ გადაგვარჩენს. მეცნიერებო, მხატვრებო და კომპოზიტორებო, დიახ, კაცობრიობის მოვლენა შედევრში ვეძიოთ ნაღდი, განუყოფელი მარადიული, კაცობრიული ჩვენეული და მარადიული საქართველო; უძველესი კოლხეთ-იბერიით, რომელიც წარმოადგენს მიწიერ ფიქრებში მყოფ პლანეტარიუმის ენერგიათა წარუშლელ მეხსიერებას, როგორც ისტორიულს, ასევე ზეციურს. ამ შემთხვევაში, მკითხველნი ჩემ ვიანობასაც გამოიკითხავენ: თავადვე, მეგობრებო, თქვენსავით „ვეფხისტყაოსანში“ ჩაძირული და ზეციურად მონათლული ტყვე მსახური ვარ, რომლისგანაც საშველი და სრულყოფილი სულიერი განკურნებაა ყოველთვის. უმორჩილესი თხოვნაა ნებისმიერი ერის წარმომადგენელთან, რომ მზიური ჯვარდასმული ნაწარმოები სიყვარულით და გატაცებით ავითვისო და მერმე თამამად გავიხედოთ უსასრულობავარსკვლავეთისკენ.. დიდება თქვენდა „ვეფხისტყაოსანო“, ჩვენგან ჭეშმარიტად აღქმულ გრანიტისფუძვლიან ხალხთა საერთაშორისო შედევრს.

როგორი წმინდანური ერთგულება, სიყვარული და ნიჭთ დენაა „ვეფხისტყაოსანში“ ფარდაჩამოხსნილ უძველესი მინიატურებით, მიხაი ზიჩით, ირაკლი თოიძეში და სერგო ქობულაძესთან, ლევან ცუცქირიძერ, ნათელა იანქოშვილში, რუსუდან ფეტვიაშვილთან. მაგრამ წარმოიდგინეთ მათ ნაწარმოებში, ნათელმხილველნი, მეცნიერნო, მხატვრებო, კომპოზიტორებო, მოქანდაკენო, მწერლებო, პოეტებო, დრამატურგებო, კინოს და თეატრის მსახიობებო, ოპერისა და ესტრადის მომღერლებო, კონორეუისორო, არქიტექტორო და მკითხველ-ინტელექტ-მოყვარულო, მეოცნებენო, მომიტევეთ და მხოლოდღა შემოქმედებითი უერთგულესი გაელვებაა ყოველივეთგან, ბრდღვიალა და სხივითმჭექარე უზარმაზარი მზის გვერდით, რათა პოემის მთავარი მიწიერი სურათკადრები, სრულყოფილებითი და გაკოსმიურებული მიუღწევლობაა. ისევ შემოგბედავთ – მხოლოდ შოთა რუსთაველის გენიის დონის და ნიჭის მხატვარი თუ კომპოზიტორი შეძლებდა ყოვლად საოცრება-პოემის მხატვრულ-მუსიკალურ დასურათებას, თუ მიწყენთ უფრო მეტად ამღიარებელნო, მაშინ მიმართეთ უფალს და კოსმოსს—მათთან უფრო იპოვით სიმართლეს.

ზეცის გზავნილმა გაჯერებულმა წარმოსახვამ ამ შემთხვევაში ჩემს გონებას უშუალოდ ჩაუქროლა და ჩაეხმიანა, მეტს ვერაფერს ვერ გიშველიო და უმალ შევჩერდი.

ეროვნებით უნგრელი, ევროპაში გამოჩენლი და აღიარებული მხატვრის, მიხაი ზიჩის სურათები გახლავთ თავისუფალი ჰაეროვანი ხაზ-ფორმა დამამშვიდებელი ფერთა დინება, გამოკვეთილი ფერთა დინება, გამოკვეთილი ხასიათებისა და რბილი განწყობილების, თემის სულიერების უმაღლესი გამჟღავნებით. სერგო ქობულაძე კი აღორძინების ხანის შეუდარებელი ფორმით ქანდაკებური მკვრივ-სიმტკიცეა, -- ანტიკურობისკენ მავალი მხატვრულ ხაზთა განლაგება. თითქოსდა რუსთველისეული პოემის გმირების სიცოცხლეს შესცქერი, მაგრამ სინანულად უფრო მეტხედავ და გრძნობ-დიადური პოეზიის ლეგენდარულ წიგნში. ორიგინალთან მიახლობა, ნებვისმიერ „ვეფხისტყაოსნის“ ზოგადად თუ ღრმად მცოდნეს, ძლიერ უჭირს როგორც მეცნიერებაში, ასევე მხატვრობა-მუსიკაში, რის შესახებაც ზევით უკვე მოგახსენეთ. ის ურთულესი სამყაროსეული სიმდიდე, ცხოვრება სიცოცხლეზე, ადამიანურ წმიდა სიყვარულზე აღმატებული და ვინ იცის, კიდევ როგორი სიდიადისაა, რომელიც მარადიულ იდუმალებას წარმოადგენს. წმიდად კოსმოსური უწყვეტი სიყვარულია გულმხურვალებამდე ცეცხლოვანი, მაგრამ სინანულად ეს უმაღლესი მშვენიერება ბევრი ჩვენგანისათვის წარმოუდგენლად შორეულია, რადგან უშუალოდ უფლის შინაგანი დიდებაა, ხატ-ფრესკებად ქცეული...

ყოველგვარ ფიქრებს გარეშეც ფენომენალურ წარმოსახვათა მარადიული და უმდიდრესი ვარსკვლავეთური ნიჭის განძია „ვეფხისტყაოსანი“, კოსმოსური თავისუფალი და უმაღლესი მისტიკური აზროვნებაა რუსთველისეული, ღვთივ ნააზრევ ლექსად თქმული, რადგანაც მეცნიერნი გვეუბნებიან და მართლაც თუ რამე ქართული ხალხური თქმულებიდან სტიქიური გავლენით შემოუვიდა პოეტს, მაგ შემთხვევაში აუცილებელი საჭირო მაგალითი უნდა წარვადგინო: „მცხეთის ჯვრის“ მონასტრის ასაგებად ღვთივგონიერმა გენიალურმა ქართულმა ხუროთმოძღვარ-არქიტექტორმა, ქვა-კირი და სხავდასხვა მასალა იხმარა და აღმართა ზემავალი საოცრება გეომეტრიულ ფორმათა კოსმიური გაანგარიშება სიბრტყობრივი და ხვეულ ორნამენტთა ბარელიეფ-გორელიეფთა ზეცას შერწყმული ჰარმონია, რითაც უნიკალურ არქიტექტურული ძეგლ-ქანდაკებად დადგა, რომელსაც სამარადისო საძირკვლად ამაგრებს ქართული კოლორიტის კეთილშობილურად მარად მდუმარე კლდოვანი მთის კვარცხლბეკი.ამდაგვარად ხდება სრყლყოფილ შედევრთა დამკვიდრება ჩვენს გულღია კეთილ და გაწონასწორებულ მზენაფერებ პლანეტაზე, რომელთა ყველა მათგანი ვარსკვლავეთის ნიჭთუანგარობაა...

შემოგთავაზებთ კიდევ ელვარე შედარებით მსგავსებას, მსოფლიოს სიამაყე მხატვარმა ნიკო ფიროსმანაშვილმა, ჩვეულებრივი საღებავებით ინგლისურ შავ მუშამბაზე შექმნა შეუდარებელი და განუმეორებელი ფერწერული შედევრები, ბუნების ხილულ-უხილაობის ფერადოვან-ქართული კოლორიტის სახე და მხატვრულ მარადიულობად აქცია (განა ეს სათქმელია? ან ნაწარმოების განხილვის ნორმალური თემაა!)

საოცრება ოკეანისეულ სულჩაღვენთილ პოემაში თანმიმდევრობით რომ შეხვალთ, თითქოსდა ქართული უძველესი ხალხური, ზოგი მათგანიდან წარმართული და მნათობთა თაყვანისმცემლობის დროინდელი უნიკალური მელოდიები იღვრება, უსათუოდ უძველესი კოსმიურ-სივრცობრივი მუსიკით ნაზიარებნი, რუსთაველის პოემაშიც ხომ მზე რითმულ-ჰარმონიით სამას ჩვიდმეტჯერაა ნახსენები, შედევრთან ურთიერთობისას ორმოცდაშვიდჯერ მთავრე სრულიად შეგვასვენებს ხოლმე. მზისა და მთავრის აზრგაელვებითაც არ გრძნობ განმეორებებს, იმდენად დიდ-ღვთივოსტატურადაა პოემის უჯანსაღეს სხეულში ჩაორგანოებული...

მესხური მთის შიშველ მწვანე ფერდობზე ლაღად დაჩოქილი, ზეცას შემყურე, ჭაღარა კეთილი მწყემსის უძველესი საკრავ სალამურის უწყვეტი სიღრმისეული ღუღუნი ისმის, მაცხოვარივით მართალხმიანი, ზღვა ბატალური მზე-ტალღოვანი სიკეთე-სიყვარულის პოემიდან, ამდაგვარი ქართული გენის სულიერი სინამდვილის გამაოგნებელი ამღერება, საერთაშორისო პოეზიის ზომა – ნორმებით იშვიათობა და განუმეორებლობაა...

(გაგრძელება გვ 7)

მზე - ენერგიაა „ვეფხისტყაოსანი“

(დასასრული)

შოთა რუსთაველი კაცობრიულიდან წმიდა ეროვნულს ეახლა და ღმერთივით გადიადებული ხმა სამყაროს ვარსკვალვეთურ უსასრულობაშივე გააჟღერ-გაასივრცობრივა, რითაც თავისი ერის, პლანეტის ხალხთან სულიერი ნათესაობის უნატიფესი ელემენტები გასხნა...

როგორც მოცარტმა, ბეთჰოვენმა, ბახმა, ჩაიკოვსკიმ, შოპენმა და რამდენიმე გენიალურმა კომპოზიტორმა კოსმოსის ფანტასტიური სიღრმეებიდან მოიზიდეს მიუწვდომელი მუსიკალური ბგერები თუ მელოდიები ასევეა დიდი მწერლები, პოეტები, ფილოსოფოსები, მხატვრები და მეცნიერები, შეაღწევენ და ეახლებიან ხოლმე, გაციურებულნი. უკვე მათეულ ფერებს. მუსიკის ხმას, მარგალიტებად ასხმულ სიტყვათა კონას, აზრებს, სიბრძნეს, მიწიერი ცივილიზაციის სიახლეებს, და შემდგომ წარმოუდგენელი ხელოვნების მეცნიერული თუ ფილოსოფიური ნაწარმოებები იქმნება.

„ვეფხისტყაოსანი“ ზეამაღლებული ფორმის სტილისა და მხატვრული სიმაღლის ურთულესი ფილოსოფიური ინდივიდუალური პოეზიის უნიკალური ნიმუშია, რომ ნაწარმოების უცხო ენაზე სრულყოფილად თარგმნა შეუძლებელია. ამიტომ საერთო კეთილი აზრით, არამიწიერი შედევრ-საოცრებებით დაინტერესებულმა კაცთმოყვარე და ინტელექტუალურად შეგნებულმა უცხოელმა საგანგებოდ უნდა შეისწავლოს ქართული გრამატიკული ენა, რათა ორიგინალში სივრცისმიერად ღვთიურ უკვდავებას უნაკლოდ ეზიაროს.

სიბრძნისა და სიკეთე-მშვენიერების მაძიებელო მეგობარო, „ვეფხისტყაოსნის“ შენში უახლოეს მეობად გასულიერება სულიერ-ფიზიკურ ჯანმრთელობასთან ერთად სიცოცხლის ხანგრძლივობის მომცემი უხსოვარდროინდელი გრძნეული კოლხი მედეას უებარი და ჯადოსნური მკურნალი წამალივითაა (რომელიც ათასწლეულთა დაუდგრომელმა ბოროტებამ არ შემოგვინახა)

ბოროტება ტანჯვის პროცესია, ფსიქიური უარყოფითი დაავადებაა და ძალაუნებურად სიკეთეს აძლიერებს. ასე რომ, უკეთურობა ვარსკვალვეთიდან ავთვისებიან სხივთა მეოხებით ადამიანზე გამანადგურებელი გადმონერგვაა და უმძიმესი სულიერ-ფსიქო-გონებრივი შენაძენია.

სხივნათელი პოემა-ნაღვაწი ყოველი ჩვენგანისთვის მხოლოდ მზე-ენერგიისმიერი ზნეობრივი აღმზრდელობითობა კი არ გახლავთ, არამედ კეთილსხივოსანი ვარსკვალვთ-მცოცავ-ფონითი, უცხო იდუმალებითი შინაგანი მეცნიერულ-კოსმიური განსწავლულობაა და უახლოეს თუ უშორეს ციურ მნათობთა მიერ სულიერ-გონიერებითი ყოველთა ნეტარ-კვებაა შეუდარებელი; ქართული ძველზე უძველესი გენის განახლება-გაგრძელებაა სასწაული...

შენი აღმზრდელი დედა გამუდმებით კეთილშობილური უწმინდესი რძით გვკვებავდეს მზისდარი და ფორმის მხურვალე ძუძუებიდან, შენ კი მადლობას ცის გაყინულ სიმაღლეებზე აკრულ მითაჟამინდელ ქორს მადლს სწირავდე მაგდაგვარია ზოგიერთი მეცნიერის დაუჯერებელი სამართლიანი კვლევა-განსჯანი. თუმცა უხსოვარდროინდელი მიმტევებლობაა ჩვენში.

ნებისმიერ თემაზე, კერძოდ, ლიტერატურის საკითხზე ანალიტიკური, მეცნიერულად შემაჯამებელი აზროვნება გონ-სულიერად შინაგანად მართალ-წარმოსახვები ნერვიული მოუსვენრობით უნდა გწვავდეს და მერმე უნდა დააფიქსირო, თუ გინდა მრავალთა ურჩი თუ მორჩილი აზროვნება დადებითად შეძრა...

„რადგან წერა მარადიულობასთანაა წილნაყარი“. მოვლენა მგოსნის, უაღრესად მდიდარი იდუალი მასალა იყო, მრავალათასწლიანი ქართული, კოლხურ-იბერიული შორეული გენნათესაური სივრცე; საიდანაც მზისფერ წვეთებად ჟონავდა; შუმერების, ხეთების, პელაზგების, ეტრუსკების და ქალდეველებისა – რომელთა რვა მეფე წარმომადგენელი განაგებდა სხვადასხვა დროს ბაბილონს.

საინტერესო გამბედაობით კარგად და მისტიკურად თუ წერ ცხოვრებისეულ მოვლენებზე, ბუნების უთვალავ სურათზე ან მიუწვდომელ ზეციურ იდუმალებებს, აუცილებლად ავტორს დაუდგენელი ფსიქიურ დაავადებათა გადახრები ახლავს. მაგრე რომ არა, არ იქმნებოდა წარმოსახვათა სიღრმისეული უიშვიათესი ცნებები და გონების გაღიზიანება მოვლენების სიმწვავეთა განვითარებითი არსება. ამდაგვარი შემთხვევისას თქმულა, ავტორის ძარღვებში სისხლი და სული ერთდროულ მიმოქცევაშიაო.

ქვეყნად როგორც ადამიანთა, სხვადასხვა მიმართულების და დონის გონიერებითი აზროვნება და თანმდევი განსხვავებული სამშვინველ-სულიერებაა. ეჭვგარეშეა, მაგ სახისა და ფორმის მრავალფეროვნებაა ჩვენი მზის სისტემის ენერგია-გონიერება, უთვალავ გალაქტიკებსა და ასევე უსასრულო სამყაროებში. ამ უზარმაზარი სისტემის მცირედი ორგანული მოაზროვნე ატომგულია ნებისმიერი ერისა და რასის წარმომადგენლის გენიალური უიშვიათესი პიროვნების გონება და შემოქმედებითი ნიჭი, რომელიც სამყაროს მთლიანობის განცდებია, მწამს, ნებისმიერ გარემოში არსებულ, წარმოუდგენელ ტვირთზე უფრო მძიმეა.

ღვთივ ადამიანური გენია, ზესამყაროს სივრცე გარემოდან და ასევე მშობლიურ მიწა-პლანეტის ნაღებ უმცირეს ელემენტებსაც ფლობს. როგორადაც თავდადებით და მოწადინებით, კოსმოსისკენ სიახლოვით ურთიერთობდნენ, საკვირველ მოვლენილთა უმთავრესის ჯანსაღი მაცოცხლებელი ფესვები, უთუოდ დედამიწის სხეულშია განფენილი და მიწიერი უნოყიერესი სისტემისეული მადლით იკვებება, რომელიც ისევ მტკიცებულებების გარეშე დედამიწა, ვარსკვლავეთის განუყრელი კავშირ-ღვიძლია, წევრ-პლანეტაა, ხოლო კოსმოსური საოცრება გონება ზედმიწევნით, საგანგებოდ ამწიფებს და შემდგომ ამშობიარებს მათ, -- შედეგრ მანათობლებს, როგორც ხელოვნებაში ასევე მეცნიერებაში.

ასე რომ, მეგობრებო! გენიალურ პიროვნებებს უშუალო ურთიერთობა გააჩნიათ ზეციურ-უმაღლესთან და მათგან ივსებ-მარაგდებიან, დანარჩენი ფართო ფენა საზოგადოებისა, თავადვე უზომო მუყაითობით შეიმეცნებს სამყაროს, ღმერთს და დღედაღამ ევედრებიან, ლოცულობენ, ზოგჯერ დაჩოქილები სანთელს უნათებენ. დროთა ჟამში შემოქმედი ადამიანებიც კი შეუერთდებიან, მაგრამ მათი ლოცვა და უფლის რწმენა სრულიად სხვა მიზეზ-სიმაღლე, უხილავ სიახლესთანაა დაკავშირებული, რომელთა გონებრივი ჩაწვდომა მდაბიოთათვის ძალიან რთულია, სულიერი სიახლოვე კი, ისევ ღვთიური განგებაა... მათგან ნებისმიერი, ახალი ათასწლეულიდან მოყოლებული დღემდე არ ეგზავნებოდათ და არც აწმყო-მომავალშიც მიუვათ იმდენი ზეციური სიმდიდრე – გონი, მადლი და ნიჭი, რამდენიც გენიად შობილთ მზედყოფილი უმცირესნი სამყაროს განუყოფელი ნაწილია და თავადვე წმიდანები გახლავთ, უთუოდ უფრო მეტი, როგორც გავბედე, ზემოთ საუბრისას, სრულყოფილი მოღვაწე ღმერთია ყოველ მათგანში. ფერები ბგერები და სიბრძნისეული სასწაულები ილუზიებით დაეხეტებიან სამყაროს სივრცეში, მათ გენები უთუოდ აღმოაჩენენ ხშირად ზეციდან წარმოსახვებით მოეწოდებათ რეალიებით-შედეგრებად.

პლანეტის ცივილიზაციების საწყის სათავეებიდან ერთეულებია

ზენაართრჩეულნი და მათ შორისაა მოკიაფე ვარსკვლავად „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელი...

აიეტ და ფარნავაზ ლეგენდარული მეფეების მოუშინაურებელი არწივები კი დღემდე გაშმაგებით და დაუსრულებლად ყივიან შორეული ისტორიიდან.

გულღიად წმიდანივით შეხედეთ საქართველოს სასწაულებრივ მრავალფეროვან ბუნებას: ზღვას, კავკასიის მთებს, ტბებს, მდინარეებს, ცას, მზეს, მთავრეს, ვარსკვლავებს. ზღაპრულ ღამეებს როგორც მთისა და, ასევე ბარისა. ერს ულამაზესს, რომელიც მართლაც რომ წმიდა ნინოსა და გიორგისეული სულიერი დახვეწილობისაა, ამდაგვარ საღვთო გარემოს, რა გასაკვირია, რომ მოევლინენ საერთაშორისო გენიები: რუსთველი, ფიროსმანი, ზაქარია ფალიაშვილი, ოშკის, მცხეთის ჯვრის, ხახულის, გელათის, სვეტიცხოვლის, ბედიის მონასტრის და მრავალ არქიტექტურულ საოცრებათა ავტორები, ბექა და ბეშქენ ოპიზრების თუ ხახულის ხატის შემქმნელები. ანდა უძველესი კოლხური ოქროს შედევრ-ნაკეთობანი და ცივილიზაცია...

ველურთა ეშმაკეული მრავალი საუკუნით სხვადასხვა ათასწლეულში გულისამრევი ბატონობა რომ არა, მათ შორის კვლავ უდიდესი პოეზია, პროზა, მუსიკა, ქანდაკება, არქიტექტურა, შედევრ-ფრესკები, ჭედურობა და მინანქარიც შეიქმნებოდა, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, შხამიანი მორიელების და გველების მტრულ გარემოცვაში ვიყავით მუდამჟამს.

ჩემი მართალი და ჩვეულებრივი გული როგორ უძლებს, მიკვირს, როცა ვკითხულობ ზოგიერთი მეცნიერის ჩანაწერებს და ვხედავ, სულიერ ჩვენს დიდებას სხვას რომ მიაკუთვნებენ, ან გადაზიარება ხდება.ზევით უკვე შემოგჩივლეთ, მხოლოდ მწიგნობრობა, ინსტიტუტები, უნივერსიტეტები თუ აკადემიები არ წყვეტენ ხელოვნებისა და მეცნიერების, ჭეშმარიტების უმთავრეს საკითხს, როდესაც განიხილავთ ლიტერატურულ შედევრს, უნდა იყოთ ღმერთივით, გონგამჭრიახნი და მართალნი, რათა ჩავწვდეთ შედევრისეულ ვინაობას, სრულყოფილებას და მერმე ზეცასავით სუფთა ანალიტიკური აზრები უნდა დავაფიქსიროთ, თუ არადა დიდ ზიანს აყენებთ ხელუხლებელ სიმართლეს და ღვთიურ ქმნილებას. დიახ, მდიდარი ბუნება და ღვთიური სილამაზის გარემო ხომ ჯანსაღი საშოა გენიისა. ანუ, ქართული ხალხური მუსიკა-სიმღერები, წარმართობიდან მოყოლებული, განა კახური ჰანგ-ჰარმონიები, გურულ-იმერული, სვანური, რაჭული, ქართლურ-მესხურ-მთიულურ-ფშავური, აჭარული, აფხაზური და ლაზურ-მეგრული ზღვის სივრცისმიერი მელოდიები არ ზრდიდა დროთა ჟამში ქართულ გენიას და ხვენდა პლანეტის კეთილშობილსა და უვნებელ რასას...

ბრმად ორგულ-შურიანთა გასაგონად: მარადიულობიდან ჩვენი მზის სისტემის ფენომენალურმა უწყვეტმა სხივმა და უახლესი გალაქტიკის, ირმის ნახტომის, გენმა ააშენებინა და შეაქმნევინა შოთა რუსთაველს უნიკალური და მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურა-პოეზიის მარგალიტებით და ძვირფასი ქვებით ციურ საძირკველზე ნაგები სასახლე, რომელშიც უძველესი პელაზგებისეული ცისფერი სიმართლის მიუკარება ფუნდამენტია ჩაკირული. ისტორიული სიმართლეა პელაზგების ფესვებმა გამოკვებეს და აღზარდეს საოცრება ანტიკური საბერძნეთისა და რომის იმპერიის უზარმაზარი ხელოვნებისა თუ ფილოსოფიის მუხის უკვადავი ღვთიური, ცამდე მწვდომი ხეებიც.

თუკი ეროვნულ მეცნიერულ ნიაგადზე ისტორიულად სიმართლეს გრძნობთ და ძლიერ განიცდით, ასევე ბუნებრივი მტკიცე შეგონებითი ალღო გაქვთ, რომელიც ზეენარი ინსტიქტის ძალებიდან ჩაგედინება, მაგ შემთხვევაში პროფესია, ხარისხი, ანუ ხელისუფალთა პრემიები რა სახსენებელია. წმიდანური ველური შემოქმედებითი სივრცე მხოლოდ ხელოვნებას კი არ გააჩნია, არანაკლებ მოუშინაურებელ საუფლოებშია ისტორიასა და უთუოდ ნებისმიერ მეცნიერებაში, ხშირ შემთხვევაში მთავარი არაა გადაყოლილი ენციკლოპედიური ცოდნა, არამედ უმთავრესია, როგორც ვთქვი ინტუიცია: მასალათა მართალი გაანალიზება, თემათა ჰაეროვანი ჩამოგზავნა კოსმოსური უმდიდრესი სივრცეებიდან; ზესამყაროს მეხსიერებათა უშეცდომო ჩამოწოდება ხომ წარმოსახვების უმტკიცესი ქარბორბალა არხებით მომდინარეობს, რომელიც კოსმიურ მნათობ აკადემიას წარმოადგენს... შლიმანმა, ალბათ ზოგადად თუ იცოდა ძველი კოლხეთის ისტორია, მაგრამ საიდან? – ზუსტად ვიციო, ქალქ აიას ადგილმდებარეობაო, რომ განაცხადა, აი სადაა მარადიულობის მეხსიერების სამარხები, რომელთაც მხოლოდ გენიები ფლობენ, აღიქვამენ და ხედავენ... დედამიწის სხვადსხვა კონტინენტებზე რად უნდა ვეძიოთ ქართული უძველესი ცივილიზაციის ფესვები, როცა ისტორიის შორეულ მოვლენებში გაშუქებულ სხივებად გარკვევით ჩვენშივე ისახება. ასე რომ, მეცნიერებო, ნუღარ ჩაერევით, უღვთოდ და მოურიდებლად ნუ შეანჯღრევთ ბაჯაღლო ოქროსძირიან, უმშვენიერესი პოეზიის მანქანას, რომელიც ზღაპრული შემოქმედებით შარაზე ყველგანმავალია, როგორც შიშველ მგრძნობიარე მიწაზე, ასევე კოსმოსურ ზესამეფოებში, რადგან ის ურყევი დიდება, სამყაროსეული მშვენიერების ჰარმონიული პოეტური უხილავი მეცნიერება და ქართული მხატვრული სულიერებითაა ნაქარგი.

ცოცხალთათვის მიუწვდომლობაა საფლავთ დუმილ-ფიქრი; მაგ უკუნეთ ცრემლშემშრალ სევდაში ყველაფრისა და ყოველივეს ჩაკარგვაა; უთუოდ ირგვლივ მჩქეფარე სიცოცხლეშივე უმძაფრესი ჩასაფრება ტკივილ-სიკვდილია, ჩაკირული უცხო მეხსიერებითა და გაურკვეველი უჯიუტესი მოძრაობით. დაუსრულებელი გასაიდუმლოება მათ რომ გააჩნიათ მარადიულად ჩასვენებული უკვდავი მზეა ჩამქრალი. ამდაგვარი აზრ-ფიქრები მიტრიალებს შოთა რუსთაველის დაკარგულ და გამქრალ საფლავს ფერწერულად ჩემი პლანეტარიუმის მიდგომით რომ ვხატავ და ვიხილავ ხოლმე ვარსკვლავეთის მიუვალ პანთეონში, ანუ ვარსკვლავოპანთეონი...

პანთეოკოსმეონი (ჩემეული აღმოჩენაა), რომელიც ზეცაზე წარმოიშვა მეთორმეტე საუკუნეში და ანგელოზებმა პირველად შოთა რუსთაველი დაასვენეს...

ყოველივე ამას მათთვის ვწერ, ვისაც ეამებათ ჩემი სუფთა ქართულ-განწყობილებიანი ნააზრევ-ნაამბობი; თუ არა – ის ნამდვილად კეთილი გულით მეცოდება რადგან განუკურნებელიაო მართალთა მიმართ განდგომის გონებრივ უკეთური სენი.

ახლა შევეხოთ აზრ-ვერსიათა თავშეუკავებელ ხეტიალს.

რაში სჭირდებოდა შოთა რუსთაველის დაუოკებელ იშვიათ გენიას აღმოსავლეთით გახედვა ან სამხრეთ-დასავლეთით, თუგინდ თავისივე სამშობლოს ხალხური თქმულებების და არაკების აკრეფვა, რათა მასში თავადვე იჯდა, როგორც მოარული იგავ-არაკები თუ ფანტასტიური თქმულებები, რაც მთავარზე უმთავრესია შორეულისივრცეების უდრეკი შემოქმედებითი ფანტაზიის ენერგია, როდესაც მგოსნის სხეულში და სულ-გონებაში წარსულის ათასწლეულთა ფანტასტიური აზრ-ფორმათა შინდისფერი ხვეულები რომ ელაგა. მათგან შევწარსულდები: შუმერული, პელაზგური, ეტრუსკული, ქალდეური საოცრებანი და ხეთების ცივილიზაციის უშორესი სხივებიც ირეკლებოდა; დიდი შემოქმედის ნერვიული და გონებრივი სიახლის შექმნის ქსელით დაბანდული იყო, კერძოდ, უძველესზე არქაული პელაზგური ჩაუქრობელი უკვდავებით, როდესაც მგოსან-მოციქული ფლობდა კოლხურ-იბერიულ სულიერებას და თავისი ქართული დროის ოქროს ხანის სიბრძნე ამდიდრებდა; იქვე რწმენით აძლიერებდა იესო ქრისტეს ჰუმანური მოძღვრება და უღრმესი თანამედროვეობის საერთაშორისო განათლება, რომელსაც უკიდეგანო კოსმოსი ავსებდა ბრძენი პოეტი ალმას-ბრილიანტ სხივთ ნაკადად. მგოსანი დღენიადაგ იქით გასცემდა ზეციურ სიმდიდრეს. იყალთოს და გელათის აკადემიებში გამობრძმედილმა გენიამ შექმნა მსოფლიოში უძლიერესი და უნიჭიერესი სიახლე პოეზიის კოსმოსი, ხალხთა სიბრძნის უნიკალური ინსტიტუტი და თავისუფალი შემოქმედებითი აზროვნება.

ღიმილის მომგვრელად ტყვედ მყოფი დიდი მეცნიერები, ვისკენაც გონების ხელს იშვერენ, რითაც არასწორ კვლევებს გვაწვდიან, ისინი ხომ რამდენიმე ათასი წლის წინ უძველესი ქართული ტომების მიერ სიბრძნე-გონებით ნაძერწი ერებია. ამ შემთხვევაში ისევ დავასახელებ უძველესი ისტორიისა და ისტორიამდელ ხალხთა ნუსხას; ქალდეველები, შუმერები, პელაზგები, ეტრუსკები, ხეთები, უძველესი კოლხები და გენიალური ჰეგელის ზეადამიანური სიტყვებით დავამთავრებ; კოლხეთის უძველესი მიწიდან იწყება კაცობრიობის ცივილიზაციის პროგრესი... დანარჩენი ხედვა სიცარიელისკენაა.

რამდენიმე ასეული წლის მერმე გენიალური გოეთე დაწერს:, რწმენა საწყისი კი არა, ყოველი სიბრძნის დასასრულია”. ფერწერის ვარსკვლავსაც-ვან გოგს ეყო გამბედაობა, რომ დაეწერა: „რაც უფრო რელიგიური ხარ, უფრო მალავ შენს სათქმელს:. თუმცა მხატვარი ყოფილი მღვდელი გახლდათ. როგორც მოგახსენეთ, მიწიერ-ზეციერი გენიაკოსმიური უშრეტი ენერგიის ფენომენია, რომელიც ოდითგანვე რელიგიებზე მაღლა მდგომია...

იშვიათ მოვლენა-მგოსანს და დიდ მოაზროვნეს შესწევდა ძალა და უნარი, თემათა თუ ნაწარმოების ფაბულათა ცოცხალი ორგანიზმის უსასრულობის ნაკად-მოსვლისა, რომელსაც მზითნაფერი წარმოსახვა, აღმატებული ფანტაზია და მუზები, დღედაღამ ტალღურ-სინქრონულად თავს დასტრიალებდა, რითაც სიყვარულის, სიკეთის, გმირობის, თავდადებულობის, მეგობრობის, მიმტევებლობის ზეადამიანურ ენით აღუწერავ მრავალ მიდრეკილებას უკიდურეს სიღრმემდე წვდებოდა და ზნეობრიობის სიახლე მაცხოვრისეულ აზრ-შეგონებით ნათელ თვისებებს ვარსკვლავეთურად დიდ პოეზიაში ავრცობდა...

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ხსოვნა
ელისაბედ ბოხუა

„ ... შენს იუბილეს ვხვდები უშენოდ,
შენი არყოფნა მკლავს.
შენი სადღეგრძელოს მაგიერ,
შენს შესანდობარს ვსვამ.
მაკლია შენი ლამაზი
გაბრწყინებული თვალები
მე კი ულევი დარდისგან,
კვლავ შეკრული მაქვს წარბები...“

4 თებერვალი შენი დაბადების დღეა. ტკივილიანი დაბადების დღე ჩემო პატარავ.

ჩემო საყვარელო, გაუნელებელო ტკივილო, ძალიან მწარეა უშენობით გამოწვეული სევდა. დამტოვე და დამიტოვე უდიდესი ტკივილი და სიცარიელე.

ვერანაირი სიტყვა ვერ აღწერს უშენობის იმ მოუშუშებელ ტკივილს, რასაც განვიცდი. ძალიან მიჭირს... ჩემს ტკივილს, შენი ამქვეყნიდან წასვლით გამოწვეულს ვერ კურნავს დრო.

ელისაბედ! აწი ყოველთვის შენი საჩუქარი ჩემი ზღვა ცრემლებია.

ნუგეში ისაა, რომ შენს სულს ანგელოზები დახვდა ზეცის კარებთან და სულმა სასუფეველში მუდმივ ნეტარებაში გადაინაცვლა.

მოვალ შენს მარადიულ სასუფეველთან, დაგინთებ წმინდა სანთლებს. დიდი სიყვარულით, გულისტკივილით, სინანულით მოგილოცავ დაბადების დღეს.

უფალს ებარებოდე, იძინე მშვიდად.

შენი
ლალი ბებო

ჩვენი მერაბი

უდროოდ დაგვტოვა ერთ-ერთმა გამორჩეულმა სენაკელმა, მერაბ ხუბუამ. იგი გახლდათ მრავალმხრივ განათლებული, მეცნიერ-ფილოსოფოსი. პოლიტოლოგი, პოეტი. მას ეკუთვნის მაღალმხატვრული გამოკვლევა მშობლიურ უშაფათზე, ასევე არა ერთი ისტორიულ ხასიათის წერილი და მშვენიერი ლექსები, ესეები, პუბლიკაციები.

იგი დაიბადა 1957 წლის 13 იანვარს. დაამთავრა სოფელ უშაფათის საშუალო სკოლა. შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია- ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე, რომელის წარმატებით დამთავრების შემდგომ ცოდნა გაიღრმავა ასპირანტურა-დოქტორანტურის განყოფილებაში. სწავლას მოწყურებულმა ახალგაზრდამ განათლება მიიღო მოსკოვში. კითხულობდა ლექციებს სხვადასხვა სასწავლებლებში. დიდი წარმატებით რედაქტორობდა სამეცნიერო და მხატვრულ წიგნებს.

მერაბ ხუბუა იყო ყურადღებიანი მეგობარი. ადამიანებზე მზრუნველი და გულისხმიერი. როცა, დაინგრა საბჭოთა წყობილება და ქვეყანა დაადგა დამოუკიდებლობის გზას. ჩათვალა, რომ თბილისიდან უნდა ჩამოსულიყო მშობლიურ რაიონში და აქ გაეგრძელებინა პედაგოგიური და შემოქმედებითი მოღვაწეობა.

სწორედ მის შემოქმედებით აქტიურობას მოყვა არა ერთი ესე, პუბლიკაცია და სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება. თუმცა, ავადმყოფობამ ხელი შეუშალა ბოლომდე დახარჯულიყო და პრაქტიკულად განეხორციელებინა ჩანაფიქრი .

ჩვენგან წავიდა ნიჭიერი, უნარიანი და ადამიანური თვისებებით შემკული პიროვნება, რომლის მოგონება, მისგან დატოვებული სითბო და სიყვარული კიდევ დიდხანს გაგვითბობს გულებს.

მეგობარები

თამარ გეგენავა

უანგარო,კეთილშობილი, თავისი საქმის მოყვარული და პატარებზე მზრუნველი, , საუკეთესო მეუღლე, დედა და ბებია, ბრწყინვალე მეგობარი და ადამიანი დააკლდა ჩვენს ქალაქს, ოჯახს და სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების კოლექტივს. ქალბატონი თამარი ჩვენი ქვეყნის მომავალი თაობის - სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდას 35 წელი ერთგულად ემსახურებოდა. ყველას უწილადა თავისი წილი სიყვარული. ვინ მოთვლის რამდენი პატარა აღსაზრდელის ნიჭსა და უნარს მისცა შესაფერისი მიმართულება, რამდენი აზიარა ცოდნის მადლს.

დიდი ტკივილი დაგვიტოვა და იქცა ტკივილიან მოგონებად!

ჩვენ არ დაგივიწყებთ ქალბატონო თამარ!

ნათელში იყოს თქვენი სპეტაკი სული! ნეტარ იყოს თქვენს სახელზე დანთებული წმინდა სანთლები.

ა(ა) იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების” თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან სენაკის N 1 ბაგა-ბაღის გამგის

თამარ გეგენავას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რუშა შურღაია

არიან ადამიანები რომლებიც მთელს თავიანთ შეგნებულ ცხოვრებას ახმარენ არჩეულ პროფესიას. შრომობენ, იღვწიან, თავდაუზოგავად მოქმედებენ, რომ მოწინავენი იყვნენ თავიანთ საქმიანობაში. სიცოცხლის რისკის ფასად არ ერიდებიან სირთულეებს. დგანან სამართლიანობისა და კანონიერების სადარაჯოზე.

სწორედ ასეთი გახლდათ რუშა გრიგოლის ძე შურღაია. პოლიციის პოლკოვნიკი, დასანანია, რომ მოულოდნელად გახდა ზეციური საუფლოს ბინადარი.

რუშა შურღაია შსს ორგანოების სისტემაში მუშაობას იწყებს 1967 წელს ზუგდიდში, უბნის ინსპექტორად. 1972 წლიდან სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის ინსპექტორია. 1982 წლიდან იგი სამუშაოდ გადმოდის შსს ცხაკაიას რაიგანყოფილების სს სამძებრო ქვეგანყოფილების უფროს ინსპექტორად, სადაც ავლენს წესრიგის დამცველისთვის ყველა საჭირო თვისებებს. კანონების დაცვას უთავსებს პრაქტიკულ საქმიანობას.

მისი პროფესიული აქტიურობით, ალღოთი და ინტუიციით მან მოახერხა გაეხსნა არა ერთი მკვლელობა, ძარცვა, ქურდობა. შეეპყრო საშიში ძებნილი. უამრავ ადამიანს მოუშუშა უსამართლოდ მიყენებული ჭრილობა. მისი ცხოვრების კრედო სწორედ ეს გახლდათ.

სწორედ ამის გამო იგი დაანინაურეს ჩხოროწყუს შსს პოლიციის რაიონული განყოფილების უფროსად, სადაც უფრო გამოჩნდა მისი ორგანიზატორული თვისებები. სამართლიანობისა და წესრიგის დაცვისთვის ბრძოლის ჟინი. რაც არა ერთგზის დაფასდა. გახდა პოლიციის ფრიადოსანი, უმწიკვლო მუშაობისთვის მიღებული ჰქონდა 1, 2 და 3 ხარისხის მედლები. მინისტრის ბრძანებით გამოცხადებული ჰქონდა ორმოცდაათზე მეტი მადლობა და სხვა წახალისებები.

რუშა შურღაია გახლდათ ერის მოყვარული და მზრუნველი ქართველი. იგი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის ერთიანობისთვის ბრძოლებში. მინიჭებული ჰქონდა ვეტერანის წოდება. იყო გულკეთილი მეგობარი. სხვათა ჭირის გამზიარებელი და ხალასი ადამიანი. შემკული უამრავი ადამიანური თვისებებით.

დარჩა შესანიშნავი ოჯახი. აღზარდა ორი ვაჟიშვილი, რომელთაც ეთაყვანებოდა.

ვალმოხდილი ადამიანის ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენს გულში.

მეგობრები

გაზეთ „კოლხეთის” თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნინო, დავით, ვახტანგ სართანიებს მამიდის

ლენა სართანიას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „კოლხეთის” თანამშრომლები თანაუგრძნობენ შორენა ხარბედიას დედის

თინა ხარბედიას

გარდაცვალების გამო

საინფორმაციო ცენტრის და გაზეთ „კოლხეთის” თანამშრომლები მწუხარებას გამოხატავენ №1 საბავშვო ბაღის გამგის, მრავალ თაობათა აღმზრდელის

თამარ გეგენავას

გაედაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სარედაქციო ჯოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიჯა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჭულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ”
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 223779,223711, 223499